1877—1895

№ 66
შაბათი, 25 მარტი 1895

**გაზეთი ღირს.**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

# ივერია

№ 66
შაბათი, 25 მარტი 1895

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

**დღესასწაულის გამო შემდეგი ნომერი გამოვა სამშაბათს, 28 მარტს.**

## გამგეობა

ტფილისის საურთიერთო სასოფლო მეურნეობის კრედიტის საზოგადოებისა ამით აცხადებს, რომ 25-ს ამა მდგომარე მარტიდამ მიიღებს არზებს მათგან, ვინც მოისურვებს კრედიტი იქონიოს ხსენებულ საკრედიტო დაწესებულებისაგან და წევრად ჩაეწეროს. წევრად შესაძლოა ჩაეწერონ და კრედიტი იქონიონ ყველამ, წოდებისა და სქესის განურჩევლად, სოფლელს და ქალაქელსა. რა გვარად და რა სახით უნდა დაწერილ იქმნას არზა, ამისათვის საჭიროა მიჰმართონ თვით გამგეობას, რომელიც დროებით მოთავსებულია ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის კანცელარიაში, და ყველა საჭირო ცნობას იქ მიიღებენ.

თხოვნები მსურველთ შემდეგის ფორმით უნდა დასწერონ.

ტფილისის საურთიერთო სასოფლო მეურნეობის კრედიტის საზოგადოების გამგეობის მიმართ

(წოდება, სახელი, მამის სახელი და გვარი; რომელ მაზრიდგან.)

თხოვნა

უმორჩილესად გთხოვთ, მიშუამდგომლოთ, რათა მიღებულ ვიქმნე საზოგადოების წევრად, შემომაქვს რა (აღნიშნულ უნდა იქმნა ფულის რაოდენობა). ამასთანავე პატივი მაქვს გაუწყოთ შემდეგი ცნობები:

1) მაქვს უძრავი მამული (სად იმყოფება, რა მამულია, დაახლოვებით რამდენი ღირს, დაგირავებულია თუ არა და ან რა ფასში?)

2) ჩემი ხელობაა (მიწათ-მოქმედება თუ რაიმე ხელობა?)

3) ვაჭრობ 18—წლიდგან (რა საქონლით?) წელიწადში დაახლოვებით ა) (      ) მანეთის საქონელსა ვყიდულობ ბ) და ვყიდი (      ) მანეთისას.

4) ვასრულებ თანამდებობას. და

5) ვსარგებლობ კრედიტით (რომელ საკრედიტო დაწესებულებაში და ან რა ზომით)

ხელის მოწერა.

საცხოვრებელი ადგილი

ჩვენ ქვემორე ხელის მომწერელნი ვამოწმებთ, რომ ამა თხოვნას ნამდვილად ხელს აწერს

ხელის მომწერლები:

**წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ისყიდება:**

სურათებიანი ვეფხის ტყაოსანი, გამოცემული გ. ქართველიშვილის მიერ 10 მანეთად.

საქართველოს ისტორია ვახუშტი ბატონიშვილისა, გამოცემული დ. ბაქრაძის რედაქციით გ. ქართველიშვილის მიერ 2 მან., ტფილისს გარეშე დამბარებელმა წიგნის ფასთან უნდა გასაგზავნის ხარჯის ფულიც გამოგზავნონ.

(10—6.—2)

## ტფილისი, 25 მარტი.

აღმოსავლეთის ომი იქნება გათავებულადაც უნდა ჩაითვალოს. რაკი იაპონია დასთანხმდა, რომ ომი შეწყვეტილ იქმნას, ალბად მასაც ჰსურს საქმის დაბოლოვება; მეორეს მხრით, ჩინეთი ისე დაუძლურდა, რომ აღარ შეუძლიან განაგრძოს წინააღმდეგობა და ბევრსაც დასთმობს, რათა მოელოს ბოლო მისთვის უბედურს ომს.

ამიერიდგან იწყება დიპლომატური ომი, რომლისაგანაც გამარჯვებული, რასაკვირველია, ისევ ძლევა-მოსილი იაპონია გამოვა. მაინც-და-მაინც არსებითი მნიშვნელობა არა აქვს იმ გარემოებას, თუ რამდენს კონტრიბუციას, ომის ზარალს გარდიხდის ჩინეთი, ან რომელს ნაწილს თავისის სამფლობელოისას დაუთმობს იაპონიას მისთვის, რომ იმ დიდს საზოგადო მნიშვნელობას, რომელიც მოჰყვება ჩინეთ-იაპონიის ომს, ამით არც-არა დიდი რამ მოაკლდება, არც მოემატება. მნიშვნელობა-კი ამ ომისა ფრიად დიდია და გავლენას იქონიებს არა თუ ჩინეთ იაპონიაზედ, არამედ მთელს კაცობრიობაზედაც-კი. ჯერ-ჯერობით ამ გავლენის სიდიადის უტყუარი დაფასება ძნელია, მაგრამ ეჭვილა ჰგრძნობს, რომ აღმოსავლეთის ომი შესამჩნევს კვალს დასტოვებს მსოფლიო ისტორიაში.

იაპონიის მიერ ომის დაწყების ერთი უმთავრესი მიზეზი უთუოდ ამ ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობა არის. ჯერ ოც-და-ათი წელიწადიც არ არის, რაც „ამომავალის მზის ქვეყანამ“ ზურგი შეაქცია თავისს აზიურს წარსულს და ევროპისაკენ მიიბრუნა პირი. კარგმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ, ხალხის ენერგია-ნიჭმა და უეჭველად წარსულის მაღალმა კულტურამ ხელი შეუწყო იაპონიას ახალს ასპარეზზედ და გასაკვირველის სისწრაფით მიეცა ეს ქვეყანა წარმატების გზას.

მესამოცე წლებიდგან, როდესაც მიკადომ სძლია და სამუდამოდ დასცა მძლავრი ფეოდალები და შემოიღო იურიდიულ-პოლიტიკური რეფორმები, როდესაც იაპონიამ გულ-წრფელად გაუღო კარები ევროპას, იწყება ამ ქვეყნის ისტორიის ახალი ხანა. ამ დროიდგან აღორძინდა და დიდად იზარდა ქვეყნის მრეწველობა-ვაჭრობა. იაპონია მოიფინა ფაბრიკა-ქარხნებით, გამრავლდა და იზარდა ქალაქები, ევროპიული აღებ-მიცემობა გამეფდა და ქვეყნის სიმდიდრემ თვალ საჩინოდ იმატა. ამასთან ერთად გაძლიერდა სწავლა-განათლების საქმე: ევროპიულის სასწავლებლებით მოიფინა ქვეყანა და ტოკიოში უნივერსიტეტიც გაიმართა, რომელშიაც ახლა უმთავრესად იაპონელი პროფესორები არიან და იაპონელთა ზოგიერთ მეცნიერების სახელი ევროპაშიაც განითქვა.

თუ გავიხსენებთ მასთანავე კიდევ, რომ მეოთხმოც-და-ათე წლებში იაპონიამ კონსტიტუციაც შემოიღო და თავისუფლება დაამყარა სამშობლოში, დავრწმუნდებით, რომ ეს ქვეყანა ევროპიელ სახელმწიფოდ გარდიქცა. რომ ახალი წეს-წყობილება იაპონიაში მხოლოდ გარეგნობით არ დამყარდა, არამედ საფუძვლიანი ფესვები გაიდგა, ამას თუნდ ახლანდელი ომიც ამტკიცებს...

საკვირველი არ არის, რომ ამგვარად გაძლიერებული სახელმწიფო ვერ დაეტია თავისს ვიწრო ქერქში: უეჭველია, რომ მას უნდა მოეპოვებინა ის საპატიო ადგილი მსოფლიო ისტორიაში, რომლის ღირსიც იგი არის. ამასთან მას უნდა მოეძებნა უთუოდ თავისის ნაწარმოებისათვის ბაზარი, უნდა ეპოვნა ნიადაგი, სადაც თავისის კაპიტალის დატრიალებით, ქვეყნის სიმდიდრე გაემრავლებინა; იაპონიამ აირჩია თავისი მეზობელი ჩინეთი. ჩინეთს ევროპა ვერ იცნობდა და ეჭვის თვალით უცქეროდა აზიის ვეებერთელა ტერრიტორიაზედ გადაჭიმულს სახელმწიფოს. მაგრამ იაპონიამ დაამტკიცა, რომ ჩინეთის იმპერატორის სამფლობელო საშიშარი არ ყოფილა. ცოტა ხნის განმავლობაში იაპონიამ შემუსრა ჩინეთის ზღვისა და ხმელეთის მხედრობა, დასცა ჩინეთის ქალაქები და ციხეები და ძლევა-მოსილი ჩქარის ნაბიჯით მიისწრაფებოდა ჩინეთის დედა-ქალაქისკენაც, როდესაც ჩინეთმა შებრალება სთხოვა.

ამ გამარჯვების წყალობით იაპონია, უეჭველია, დიდს გავლენას მოიპოვებს ჩინეთზედ. ჩინეთი თავისს მხრივაც მიხვდება, რომ თვითარსებობის დაცვისათვის უნდა შესცვალოს თავისის ცხოვრების გარემოებანი და ახალს გზას დაადგეს. ამგვარად ამ დიდს სახელმწიფოში...

## ფელეტონი

### „სიზმარი“

უცნაური სიზმარი ვნახე... გაზაფხულის დილა იყო. ბუნება სწორედ იმ გვარის სიკეკლუცით შემოსილიყო, როგორათაც ყოველის მოთხრობის დასაწყისშია ხოლმე აწერილი; რასაკვირველია, მინდვრები ფირუზით მოქარგულს ჰგავდა, ჰაერი ყვავილთა სუნნელებით გაჟღენთილიყო, წყნარი, გრილი ნიავი კაცის სახეს არშიყ ქალსავით ეალერსებოდა, მზეც თავის ბრწყინვალე სხივებს უხვად აფრქვევდა დედა-მიწას, ფრინველები ჭიკჭიკებდნენ და სხვა და სხვა... მაგრამ, განა ამაშია საკვირველება? არა... სრულიადაც არა... თუ გინდა გაიგოთ, ყური დამიგდეთ...

საქართველოს სამხედრო გზა-ტკეცილზედ მარდად მოსრიალებდა, არა, მოსრიალებდა-კი არა, ხათქა-ხუთქით მოზლაკუნებდა ორ-ცხენიანი რუსული „ტროიკა“, რომელშიაც თქვენი უმორჩილესი მონა—მე ვახლდით გამოჭიმული. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ჩემს თავს მევე ვეღარ ვცნობდი. ნაბდის მაგიერად მხრებზედ „სტუდენტის“ „შინელი“ მესხა, თუშური ქუდი „კარტუზიან“ ლურჯ ქუდს შეეცვალა და ჩოხა-კი „სტუდენტებისავე“ „სერთუკს“.

ერთის სიტყვით, მე, რომელსაც უნივერსიტეტი-კი არა—თვით უნივერსიტეტიანი ქალაქის საზღვარიც თვალითაც არ გამიცდია—რაღაცა ჯადოქრობის ძალით სტუდენტად გარდავქმნილიყავ და, წარმოიდგინეთ, ისიც კურს-დამთავრებულ სტუდენტად. ფეხებს ქვეშ პაწია აბგა მეგდო და სწორედ იმ აბგაში განცხრომით განისვენებდა ჩემი ვითომ და ოთხის წლის სწავლა-განათლების დამაგვირგვინებელი ნაყოფი—დიპლომი.

როგორიც ტანისამოსი მეცვა—იმგვარათვეც ვფიქრობდი და ვოცნებობდი. ეს არის, ამ დღიდგან ერთი ხანა კაცის ცხოვრებისა, რომელსაც „უბიწო სიჭაბუკეს“ უწოდებენ—უკან მოვიტოვე და მივადეგ თვალგადაუწვდენელს ზღვას ე. ი. ნამდვილს ცხოვრებას-მეთქი.

დიაღ, ამ დღიდგან სამუდამოდ გამოვეთხოვე უდარდელსა და უზრუნველ ყოფა-ცხოვრებას და პირი იქითკენ ვქენი, სადაც მარტო „დღევანდელისთვის“-კი არა ჰფიქრობენ არამედ „ხვალისთვისაც“ იბრძვიან, რომ დამარცხებულნი არ დარჩნენ-მეთქი. მარტოდ-მარტო ყოფნა მშვენიერს ჰაერზედ ხელს უწყობდა ჩემს ფიქრთა სრბოლას და ხომ მოგეხსენებათ ახლად კურს-დამთავრებული, ისიც უმაღლესს სასწავლებელში, რა მოყვარულია ფანტასტიურ სურათებისა, მით უფრო, როდესაც გარემოება ხელს უწყობს. აი, მომავალის ცხოვრების გეგმის შედგენა, სამოღვაწეოდ ნიადაგის შერჩევა, აი ისა, აი ესა და ამასობაში ვინ იცის, იქნება ისეთს ბარდებში გაებას, რომ გამოსვლაც ვეღარ მოახერხოს.

მეც სწორედ ასე დამემართა. განუშორებლივ თავს დავტრიალებდი საგანს ჩემის მომავალის ცხოვრების მოწყობისას, ათასნაირად ვზომავ-ვწონავდი მას და მხოლოდ ხანგრძლივის სჯისა და თათბირის შემდეგ როგორც იქნა სასურველი დასკვნა ვპოვე.

ექიმის დიპლომი მაქვს, მაშასადამე შემიძლიან საქმესაც მივყო ხელი. მაგრამ როგორ უნდა დავიწყო? სამსახურში შევიდე, თუ კერძო ექიმად დავრჩე? სად ვიცხოვრო? ტფილისში, თუ სადმე სოფელში? ეს საკითხავი-კი სწრაფად გარდავსწყვიტე. რასაკვირველია ტფილისში. ჩვენის საზოგადოების საუკეთესო ნაწილი იქ არის, იქა სცემს უმთავრესი ძარღვი ერის ცხოვრებისა და მეც სწორედ იქა მმართებს თავის გამოჩენა-მეთქი. ჩემს მოღვაწეობას სხვა ადგილი არა აქვს მეთქი. სხვა ბევრი ამისთანა აზრი დამებადა თავში, ბოლოს ერთი მეორეში გადაიხლართა, გაიმართა საშინელი ფერხული, ასე რომ ჩემს „საგონებო მანქანას“ ჰახრაკი მოეშალა და უსწორ-მასწორად დაიწყო მოქმედება. შემდეგ, როდესაც ისევ თავისს დონეზედ დადგა—მომავალი ჩემი ცხოვრება წინ შემდეგ სურათად გადამეშალა.

ვითომ ჩამოველ ტფილისში თუ არა, მეორე დღესვე ერთს მდიდარ ნაცნობისაკენ გავექანე. ნახევარ საათის შემდეგ მე და ის ვაჟბატონი შემდეგის პირობებით შევეკრით ერთმანეთს: იმან მასესხა ასი თუმანი საქმის დაწყებისათვის. ეს ფული მე ნაწილ-ნაწილად უნდა გარდავუხადო ერთის წლის განმავლობაში და სარგებელში მისს ოჯახს უფასოდ უნდა ვუწამლო, როცა საჭიროება მოითხოვს.

მივიღე-რა ასი თუმანი—გავსწიე სახლის საშოვნელად, სიარული ბევრი არ მომინდა. ერთ-ერთს გამოჩენილს ქუჩაზედ სწორედ ჩემის გემოვნების ახლად აგებული სახლი ვნახე. ვაჭრობა დიდი ხანი არ გაგრძელებულა, რადგანაც სახლის პატრონმა ჩემი პროფესია რომ გაიგო, ფასი ერთობ დაბლა დასწია და თანაც ღიმილით დაუმატა: „იმედი გვაქვს ჩემს ოჯახსაც უწამლებთო“. ეს იმას ჰნიშნავდა, რომ „ვითომ უფასოდო“. ახლა ავეჯეულობის „მაღაზიისაკენ“ გავემგზავრე (რასაკვირველია, ოცნების ძალით, თორემ ჯერ მხოლოდ გუდამაყარს გამოვცილდი). იქაც ბედმა გამიღიმა; ყველაფერი პირიან ფასად ვიყიდე და ფულის გარდახდა ნაწილ-ნაწილად აღვუთქვი. მაღაზიის პატრონს ძალიან იამა, რომ ექიმი გამოვდექი, «ექიმები ძალიან ხოდში არიანო»—ღიმილით მითხრა და ამასთანავე ბევრი ისეთი ნივთი დამისახელა, რომლის ყიდვაც აზრადაც არ მომსვლია. სჩანდა, რომ ექიმებთან ხშირადა ჰქონია საქმე. მესამე დღეს რედაქციაში შევიარე განცხადების დასაბეჭდათ. იქაც ძალიან ზრდილობიანად მიმიღეს. გამოთხოვნისას რედაქტორმა თანაგრძნობით ჩამომართვა ხელი და მითხრა: „ძალიან მოხარულნი ვართ, რომ ჩვენს საზოგადოებას ერთი განათლებული და მამულის მოყვარული ახალგაზდა კიდევ მოემატაო“. ეს სიტყვები ძალიან მესიამოვნა და კმაყოფილი დავბრუნდი სახლში. (არ დაგავიწყდეს, მკითხველო, რომ ყველა ეს მხოლოდ ფიქრი იყო და ოცნების ძალით ვითვალის

ფოს ძველს კულტურასაც ევროპის ცივილიზაცია გაანათებს...

საქმის ამრიგად დატრიალება არაფრით ეპიტნავა ევროპის ზოგიერთს სახელმწიფოს, უმეტესად-კი რუსეთის იმპერიას საშიშარი მდგომარეობა უჩნდება. ტყუილად-კი არ უხარის რუსეთის მუდმივს მტერს ინგლისს იაპონიის გაძლიერება! რუსეთის სამფლობელო აზიაში—ციმბირი—ძლიერ სუსტად არის დასახლებული. ამ, მთელს ევროპაზედ რამდენჯერმე უფრო დიდს, ტერრიტორიაზედ მხოლოდ ოთხი მილიონი მცხოვრებია; აღმოსავლეთის და სამხრეთის საზღვარზედ-კი იზრდება მჭიდროდ დასახლებული, ნიჭიერი, ენერგიით სავსე და მძლავრი მონგოლთა ერი. ევროპაში მჭიდროდ დასახლებული გერმანელი ტომია, რომელიც არ ეტევა თავისს ქვეყანაში და ახალს მიწებს ეძებს და აზიაში იაპონია თავისს გავლენის ქვეშ მყოფ ჩინეთით—სწორედ დასაფიქრებელი და უსიამოვნო მეზობლებია რუსეთისათვის. ამიტომ ადვილად ასახსნელია ერთის მხრით „მოსკოვ. ვედომ.“-ის მუქარა იაპონიის მიმართ და მეორეს მხრით „ნოვოე ვრემიას“ სასოწარკვეთილება იაპონელთა გამარჯვების შესახებ.

ლალი.

# ახალი ამბავი

—

*** ხუთშაბათს, 23 მარტს, საარტისტო საზოგადოებაში ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სამკითხველოებისა და წიგნთ-საცავების სასარგებლოდ გამართული იყო ქართულ-რუსული წარმოდგენა. ქართულად წარმოადგინეს ვოდევილი „ბნელს ოთახში“, ხოლო რუსულად კომედია: „Школьная пара“. გამართული იყო აგრეთვე დივერტისმენტი, რომელშიაც მიიღო მონაწილეობა ქ-მა მესხიშვილისამ, ბ-ნმა იანქოშვილმა იმერული სცენები წაიკითხა და ბ-ნმა დიასამიძემ—ლექსები. განსაკუთრებული ყურადღება დაიმსახურა ყმაწვილმა ქალმა მარჯანოვისამ, რომელმაც ძალიან ცოცხლად და მარხაზად ჩაატარა როლი „ბნელს ოთახში“ და აგრეთვე რუსულს პიესაშიაც. ამ ყმაწვილს ქალს ნამდვილი სასცენო ნიჭი ეტყობა და მისი ქართულს სცენაზედ შესვლა დიდი სიკეთე იქნება ჩვენის თეატრისათვის. საზოგადოება საკმაოდ დაესწრო.

*** ტფილისის გუბერნატორს ცნობა მოუვიდა პეტერბურგიდგან, რომ აწინდელი ტარიფი რკინის გზით მიმოსვლისა, რომლითაც მოსწავლეებს 50% ეთმობათ, გაუქმებული იქნება და ამ წლის აპრილის თვიდგან შემოღებული იქნება ახალი ტარიფი, რომლითაც მოსწავლეებისათვის დიდად გაადვილებული იქნება რკინის გზით სიარული.

*** გუშინ, 24 მარტს, დილის 9 საათზედ, შუაბაზარში, ჯიგრაშენის ეკკლესიის პირდაპირ, თულაევის სახლში, მენავთე აკოფ შირანიანცი ბენზინსა სცილდა ერთის ჭურჭლიდგან მეორეში. ამ დროს შევიდა ვიღაც მუშა, ჩიბუხის მოკიდება უნდოდა და წუმწუმას გაჰკრა. წუმწუმის გაკვრა იყო-და, მთელი სარდაფი, სადაც ნავთის დუქანია მოთავსებული, ცეცხლის ალმა მოიცვა. მუშა-კი მაშინვე გამოვარდა გარეთ, მაგრამ თვით მენავთემ შირანიანცმა ვერ მოასწრო, [illegible] ცეცხლი და ძლიერ დაშავდა. მაშინვე მოვიდა ცეცხლის მქრობელი რაზმი და ძლივს გადაარჩინეს სახლი.

*** სასანიტარო საექიმო ინსპექტორმა სტეფანოვმა უბრძანა ქალაქის ექიმებს, 25 მარტიდგან ყოველ დღე რამდენჯერმე დაათვალიერეთ ბაზრები და გასასყიდად ჩამოტანილი საჭმელ-სასმელიო.

*** ტფილისის ყასბებს ნება დართეს დღეიდგან ამაღლებამდე ქალაქში ბატკნების დაკვლისა. ბატკნების დასაკვლელად დაუნიშნავს სამი ალაგი მტკვრის ნაპირას. სახელმწიფო თეატრის ახლო, ბორანთან და ავლაბრის ხიდთან. ეს ალაგები ყოველ დღე ქალაქის ფერშლებმა უნდა დაათვალიერონ და ყურადღება მიაქციონ მათს სისუფთავეს.

*** სასანიტარო და საექიმო ინსპექტორი სტეფანოვი გვთხოვს დავბეჭდოთ, რომ ამ წელს მრავალი ლორი ჩამოიტანეს ტფილისში სხვადა-სხვა ქალაქიდგან. მათგან, რომელზედაც დამღა არ იყო დაკრული, ტფილისის ლაბარატორიაში გაჰგზავნეს გამოსაკვლევად. ყიდვის დროს ყურადღება უნდა მიაქციონ შემდეგს: ტფილისის ლორებს უნდა ჰქონდეს დამღად სამი ასო „Т. Г. Б.“, ოდესისას— О. Г. С.“ осмотрѣно пр. п.“ ბაქოსას რუსულად დაწერილი: „осмотр. бакин. гор. ветер. вр. г. баку“ და კავკავისას—„В. Т. С. осмотрыно.“ ამის გარდა, კავკავის ლორებს ტყვიის პლომბები უნდა ჰქონდეს. რომელ ლორსაც ეს დამღები არ ექნება, ისინი გამოკვლეულნი არ არიან.

*** ამბობენ, რომ რკინის გზის სამსახურში ამიერიდგან მიიღებენ არა უხნეს 40 და არა უყრმეს 21 წლისა.

ხაშური: 22 მარტს საღამოს 7 საათზედ რკინის გზის მოხელემ აპოლონ ჩიქოვანმა რკინის გზის სახლის დერეფანში ორჯელ დასცალა რევოლვერი. მეორედ დაცლაზედ ტყვია კონდუქტორის ნიკიტენკოს 17 წლის ქალს მოჰხვდა ფეხში და დაიჭრა. მიზეზი და ან რა განზრახვით უსროლია ჩიქოვანს ჯერ არ იციან.

*** ქ. სოხუმი: 18 ამ თვეს აქ ერთი უბედურება მოხდა აქაურის ოლქის სამმართველოს საქმის მწარმოებელის ნ. ჩიკოგიძისას; აი, საქმე როგორ ყოფილა: სხვილი საფანტით გატენილი თოფი კედელზედ ყოფილა მიყუდებული; მისულა ბ-ნ ჩიკოგიძის შვილის წლისწავაჟი და თოფის თამაში დაუწყია. ამ დროს თოფი გავარდნილა და მოჰხვედრია იქვე მდგომს თერთმეტის წლის მოსამსახურე გოგოს და თევქსმეტის წლის ქალიშვილს ბ-ნ ჩიკოგიძისას. პირველს იმ წამშივე სული განუტევებია; მეორე ისე მძიმედ არის დაჭრილი, რომ იმისი მორჩენის იმედი არავისა აქვს.

*** იქიდგანვე: ორი შეზარხოშეული რუსი წაიჩხუბნენ შუა ბაზარში და ერთმა მეორეს ქვა დაჰკრა თავში და იქვე სული გააფრთხობინებინა. დამნაშავე პოლიციამ შეიპყრო.

## კორესპონდენცია.

—

ს. ვაქირი, (სიღნაღის მაზრა). მარტის 19-ს საღამოს 7 საათზედ, ერთი ფრიად სამწუხარო და შემაძრწუნებელი უბედურება მოხდა აქ. მოხუცებულს გლეხს გიორგი პაჭიკაძეს, რომელიც აქ, ვაქირში, სიყმაწვილიდგანვე არის გადმოსახლებული იმერეთიდგან, შემოაკვდა ახალგაზდა, სიცოცხლით სავსე—ნორჩი ყმაწვილი ბიჭი იოველ კვირიკაშვილი. აი, საქმე როგორ იყო: მკვლელის გერს, შაქრო მამაიაშვილს ამ იოველ კვირიკაშვილის ოჯახისათვის მიეყიდნა, როგორც სჩანს, თავისს მამინაცვლის უნებურად ორი დღე-ღამე წისქვილის წილი. მოკლულის იოველ კვირიკაშვილის მამა—პეპო კვირიკაშვილი დილით ადრე წისქვილში წასულიყო, მაგრამ იგი პაჭიკაძეს წისქვილში არ შეეშვა. პეპოს თავისს შვილისთვის, იოველისათვის შეეჩივლა, რომელმაც წისქვილისაკენ გასწია. დაინახა თუ არა პაჭიკაძემ იმავალი კვირიკაშვილი, მაშინვე საჩხუბრად მიემზადა და თავისის გერის დახმარებით ჯერ დანით კუნთი გამოაჭრა და მერე იმდენი სცემა, რომ იქვე სული განუფრთხო. განსვენებული 26—27 წლისა იყო.

### რა არის?

რაღაც სიამით ვარ დაღლილი,
რაღაც მწყურია;
ეს დაღლილობა, ეს წყურვილი
საამურია.

—

ცხოვრებას ვლოცავ—ნეტარება,
ვხედავ, იგია,
თუმც ჩემი ტკბილი მღელვარება
ვერ გამიგია;

—

იმას ვერ სწვდება ჩემი გონი,
ისე რთულია;
თვითონ არ ვიცი, რაა?.. მგონი,
სიყვარულია.

ჭაბუკი.

## ქართულის დაბადების შესახებ.

როგორც უკვე მოგეხსენებათ, წარსულს წელში ბრიტანიის საზოგადოებამ, რომელსაც დანიშნულებად აქვს დაბადების გავრცელება ყველა ენაზედ მთელის დედა-მიწის ზურგზედ, ადგილობრივს სასულიერო მთავრობას სთხოვა—ნება მიეცათ დაებეჭდათ ქართულად ძველი და ახალი აღთქმა და იაფ ფასად გაეყიდნათ ხალხში. სასულიერო მთავრობამ ძველის აღთქმის შესწორება მიანდო მ. დეკანოზს კონჩუევს, ქალების ინსტიტუტის საღმრთო სჯულის მასწავლებელს და ახალი აღთქმისა—მამა არქიმანდრიტს ლეონიდსა. უკანასკნელი სულ სკოლების რევიზიაზედ და სამისიონერო საქმეებზედ დაიარება, ძალიან იშვიათად არის თავისუფალი და ამიტომ ჯერ არ წარუდგენია შესწორებული ახალი აღთქმა მთავრობისათვის. დეკანოზს კონჩუაშვილსკი ხუთი წიგნი მოსესი უკვე გაუს-

---

წინებდი იმას, რაც შემდეგში უნდა შემმთხვეოდა მე, ანუ სწორედ რომ ვსთქვათ, როგორ უნდა მივქცეულიყავ ტფილისში ჩამოსვლისთანავე).

ერთის კვირის შემდეგ ჩემმა სახლმა კოპწიად მორთულის ქალის სახე მიიღო და მეც სიამოვნება მაგრძნობინა. ვამაყობდი იმით, რომ ყველა ნივთი, რომელიც-კი თვალს ჰხვდებოდა, ჩემი საკუთრება იყო და ჩემის ოფლის მოწურვით ნაშოვნი. მაგრამ ჯერ რომ არც ოფლი მომეწურნა და არც ფული შემეძინა. სსუ! აი, მოისმა ზარის წკრიალი და გულმა ფანცქალი დამიწყო სწორედ ისე, როგორც ახლად ჯვარ-დაწერილს პატარძალს ქმრის ლოდინში სარეცელის წინაშე.

ფეხის ბაკუნზედ ვატყობ, რომ ქალია, მერე ახალგაზდაც უნდა იყოს, რადგანაც მსუბუქად მოდის; თუ არა ვტყუვდები, გასათხოვარია, ამას ჩქარი და მოკლე ნაბიჯი ჰმოწმობს. ღმერთო! რა მემართება? მზადა ვარ, გავიქცე? კარები გაიღო. მე გაშეშებულსავით ვდგევარ. გამოჩნდა მართლაც ახალგაზდა და ბალის კუნწულასავით მშვენიერი (ოჰ, რა უხეში შედარებაა) არსება. ღიმილით შემომხედა და დამეკითხა: „ექიმი თქვენა ბრძანდებითო?“ მე თავი დავუკარ. მგონია ძალიან ესიამოვნა, რომ ახალგაზდა ვარ და თანაც სტკბება ჩემის აღელვებით. ნეტავ, ლამაზი მაინც არ იყ:ის... მაშინ გაბედულად მოვიქცევი. რაც უნდა იყოს, გონჯ ქალთან კაცი როგორღაც თამამია, ლამაზი-კი მაშინვე ჰბორკავს შენს გაბედულებას. აი, როგორც იქნა, პირველი კითხვა მოვახერხე ავადმყოფობის შესახებ... ქალს, როგორცა სჩანს, შევებრალე და ცდილობს თვალებით გამამხნევოს. თანაც იმის გამოხედვაში დაცინვა გამომეტყველებს. „ჰაი, შე საცოდავო, ჯერ ხამი ხარ, ბარტყი, ფრთები არ გაგიშლია! ნუ გეშინიან, მალე შეეჩვევი!..“ ვაიმე!.. კაბის ზედა ტანს იხდის, რადგანაც გული აქვს გასასინჯი... აი, ტიტველი ხორცი! უჰ, გულ-მკერდი მთლად გამოიჩინა... თეთრ ვარდს რომ წითელი ვარდის კოკორი ჩააწნათ, სწორედ იმას ემსგავსება ჩემი „პაციენტკას“ ძუძუები!.. თითქოს იმასაც რცხვენიან, რადგანაც ხორცის კანი მთლად წამოუწითლდა, მაგრამ მაინც ამაყობს იმით, რომ მისი სიახლოვე მაღელვებს, რომ თვალი ვერ გამიშტერებია მის მარმარილოსავით თეთრ მსუქნად ჩაკირულ გულ-მკერდისათვის!.. გათავდა მომხიბლავი ზმანება... ახალგაზდა ქალის ადგილი უზომოდ დასიებულმა და „ლოკომოტივსავით“ მქშინავმა ვაჭარმა დაიჭირა. ეს ცვლილება არაფრად მეპიტნავა, მაგრამ გული იმან მომილბო, რომ როდესაც ვაჭარი გავაცილე და მოკუმული ხელი გავხსენ—ლურჯმა ქაღალდმა ფირუზის მზგავსი თვალებით შემომცინა.

გავიდა (რასაკვირველია, ოცნების ძალით) ერთი თვე და ჩემმა მრევლმა თან-და-თან იბარტყა, ასე რომ ერთი ნაწილი ნასესხებ ფულისა უკვე მოვიშორე. ქალაქში თან-და-თან დაიწყეს ჩემს შესახებ აქა-იქ ლაპარაკი... ექიმები, რასაკვირველია, ყველა გავიცანი; სადარბაზოდ, როგორც მართებულება ითხოვდა, ჩამოსვლისა თანავე დავიარე. ქართველს ახალ-გაზდობასაც თან-და-თან ვუახლოვდები... ერთ საზოგადო საქმის წევრადაც ვითვლები... ამასობაში ორი თვე დროთა-სვლის ანგარიშს მიემატა...

მუშტარმა უფრო იმატა, სახელმაც, მესამე თვე უფრო იმით არის შესანიშნავი, რომ რამდენიმე ჩაჩანკალი მომიგზავნეს; მათ შორის ერთი უსაქმო, სამსახურიდგან მაიორის ჩინით გადამდგარი ვაჟბატონიც გახლდათ, ნიკოლოზის დროის შინელით მორთული... ყოველი მათგანი დიდის აღტაცებით და თითქმის პოეტურის ჰანგებით აღწერს თავისის „ნივთის“ შეუდარებელს თვისებებს, მაგრამ, მე უარზედ ვდგევარ, ვინაზები დარწმუნებული, რომ უფრო მეტის ღირსი ვარ!.. ერთის სიტყვით, „პაციენტთა“ შეძენამ და სახელის მოხვეჭამ ერთს წელიწადს თქვენი ჭირი წაალებინა ვალისა მხოლოდ ოცი თუმანი-ღა დარჩა. და ვინ იცის, კიდევ რა არ მომელის.

ერთს მშვენიერს დღეს, ერთს მძიმე ავადმყოფთან მიმიწვიეს. ტფილისის ყველა ექიმებმა თურმე უარი სთქვეს მისს წამლობაზედ; ახლა ბედი ჩემზედა სცადეს სწორედ იმ გვარად, როგორც იმ ერთმა კაცმა ჰქნა—წყალში რომ იღრჩობოდა და ხავსსა სტაცა ხელი. ავადმყოფი ძალიან მდიდარია და მხოლოდ ერთი ქალი ჰყავს, ისიც გასათხოვარი. რასაკვირველია, მე დიდის გულ-მოდგინებით ვიკვლევ ავადმყოფობას და ვკისრულობ იმ „ოპერაციის“ გაკეთებას, რომლის შესახებაც ქალაქის წარჩინებულმა ექიმბაშებმა უარი განაცხადეს. რად ვიქცევი ასე? იმიტომ, რომ სახელი გავითქვა!.. და რაც შეიძლება მალე დავაღწიო თავი „ჩვეულებრივ ექიმების“ გუნდს, რომელშიაც ჯერ-ჯერობით ვირიცხები. ავადმყოფი თანახმაა ოპერაციისა. ექიმები დასცინიან ჩემს თავხედობას და თითქმის გიჟის სახელით მიხსენიებენ. რას იზამ? ეს ჩვეულებრივი ხვედრია გაბედულის კაცისა. მე მაინც ჩემსას არ ვიშლი და, დახე განგებას, ოპერაცია კეთილად თავდება და, იმ დროს, როდესაც მე გასისხლიანებულის ხელებით ავადმყოფის ოთახიდგან გამოვდივარ—წინ იმის ქალს ვეხეჩები. იგი აღელვებული მკითხავს მამის ყოფას და, რა-კი სანუგეშო პასუხი ესმის, ისეთის თვალით შემომხედავს, რომ ეს შემოხედვა სწყვეტს ჩემს ბედ-იღბალს. მე მოჯადოვებული ვარ ქალის სიკეკლუც-სინაზით და მზადა ვარ, იმ წამსვე გულზედ მივიკრა ის ჰაეროვანი არსება. ავადმყოფი რჩება... იმ ზომამდეა იგი ჩემგნით დავალებული, რომ, როდესაც ქალსა ვსთხოვდი—მეტის სიამოვნებით ლამის ისევ ავად გახდეს. ქალიც ძალიან მოხარულია და განა ამისი მიზეზი ცოტაა? ჯერ ერთი რომ მამა სიკვდილის ბრჭყალებიდგან დავუხსენ, მეორე—გული პირველის, ჯერ კიდევ გამოუცდელის ძგერით აუთამაშე და მესამე, რომ ამ დღიდგან იგი სახელოვანის კაცის ცოლი ხდება...

დიაღ, სახელოვანის კაცისა, რადგანაც ამ რთულის ოპერაციის მშვიდობიანად დაბოლოვებამ ჩემი დოსტაქრობის სახელი დიდების უმაღლესს საფეხურამდის აიყვანა... გაზეთების მასალად ჩემი ხელოვნება გაუხდიათ, საზოგადოებაში ყველგან ჩემს შესახებ ლაპარაკობენ და მთელს ქალაქს ჟრიამული აქვს... ექიმები, რომელნიც ამას წინად გიჟად მთვლიდნენ, ეხლა ქუდს მიხდიან და ერთმანეთს მხილებაში ეჯიბრები-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წორებია, რაც რამ შეცდომა და გარყვნილობა შეპარულა, ყველა აღუნიშნავს და წარუდგენია მთავრობისათვის. შესწორების დროს შეუდარებია ერთმანეთთან ყველა ქართული დაბადებანი, დაბეჭდილნი და ნაწერნი, აგრეთვე უსარგებლია უკანასკნელი გამოცემით რუსულის დაბადებისა, რომელიც უწმიდესის სინოდის მიერ შესწორებით არის დაბეჭდილი. მამა კონჩუევი შემკულია სამაგალითო შრომის მოყვარეობით, ღრმა სარწმუნოებით, კეთილ-სვინიდისიერებით და, საღმრთო წერილი და ღვთის-მეტყველება მშვენივრად აქვს შესწავლილი ოც-და-ათის წლის მოღვაწეობის დროს საღმრთო სჯულის მასწავლებლის ასპარეზზედ და ამიტომ მისნი შესწორებანი უნდა იყვნენ სრულიად სანდონი და შესაწყნარებელნი. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ჩვენში არ აღმოჩნდებიან ესრედ წოდებულნი ასოთა თაყვანის მცემელნი (буквоѣды), რომელთაც წინააღმდეგობას უწევდნენ და უწევენ ყოველ გვარს კანონიერს და სამართლიანს ცვლილებას საღმრთო წერილში, ჩვენში შესწორება-კი არ არის საშიში, საშიშია და დიდათაც საშიში იმ გარყვნილობის დატოვება ქართულს დაბადებაში, რომელიც გულს უმღვრევს ყოველ ქრისტიანსა და რომელიც არის შედეგი ჩვენის საარაკო დაუდევრობისა ბოლოს ხანებში. ეს გარყვნილობა შემოწმებულია იმისთანა ავტორიტეტით, როგორიც ბრძანდება ყოვლად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი, რომელმაც ვრცელი მოხსენება წარუდგინა სასულიერო მთავრობას შესახებ იმ აუარებელი და უშვერი შეცდომებისა, რომლითაც სავსეა უკანასკნელი გამოცემა ქართულის დაბადებისა.

შესწორებულს ქართულს დაბადებას ბრიტანიის საზოგადოება გამოსცემს ნაწილ-ნაწილად, რათა უფრო ადვილად გავრცელდეს ხალხში.

ქრისტიანთათვის საზოგადოდ და ქართველთათვის კერძოდ ბევრად უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს ახალს აღთქმასა. იმედი გვაქვს, რომ იგიც ამ მოკლე ხანში იქნება შესწორებული და განწმენდილი სრულიად უნაკლულოდ, როგორც შეჰშვენის მამა არქიმანდრიტს ლეონიდისა, მისს ღრმა კეთილ-მსახურებას, მისს სარწმუნოებრივს გრძნობას, მისს ღვთის-მეტყველურს განვითარებასა და მისს განათლებულს გონებასა.—

## რუსეთის ცხოვრება.

„გრაჟდანინის" სიტყვით ხარჯთ-შეკრების ინსპექტორებს საგლეხო ბანკებში დაგირავებულის მამულების დამფასებლობის აგენტობაც დაეკისრებათო.

—

საპყრობილეთა უმთავრესს სამმართველოში ამ ჟამად ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ მცირეწლოვან დამნაშავეთა ზნეობრივ გამასწორებელ დაწესებულებაში ცვლილება რამ შემოიღონ.

—

ბეჭდვითის საქმის გამოფენის დროს, როგორც უკვე ცნობილია, შეიკრიბებიან რუსეთის ბეჭდვის საქმის მოღვაწენიც. ეს კრება მეტად საყურადღებო იქმნება იმ მხრივ, რომ სხვა-და-სხვა საკითხებს განიხილავს, რომელთა შორის უფრო საყურადღებოა: 1) გაუმჯობესება მომუშავეთა ყოფა-ცხოვრებისა, მათის ჯან-მრთელობისა და სიცოცხლისათვის ზრუნვა. 2) მიეცეთ სახელმწიფო კრედიტი გამომცემლებს, მესტამბეებს და წიგნების გამსყიდველთ. 3) გაუქმება ცენზურის წესდების ზოგიერთის მუხლისა. 4) ბეჭდვითის საქმის სხვა-და-სხვა ამბების გასაგებ ბიუროს დაარსება. 5) დაარსდეს რუსეთში ბეჭდვის საქმის მოღვაწეთა საზოგადოებისა და იგრეთვე კომპოზიტორებისა და ნოტების გამომცემელთა საზოგადოება. 6) დაცულ იქმნას ავტორის უფლებანი და შესდგეს წესდება იმის შესახებ, რომ ვის უნდა ეკუთვნოდეს ტეხნიკურისა და სიტყვა-კაზმულის მწერლობის პირველი ნიმუშები.

—

მისს იმპერატორებითს უდიდებულესობას ვორონეჟის ერობამ დაოქრულის ყუთით ადრესი და თხოვნა მიართვა, რომლითაც სთხოვენ 47000 მან. გადაუხდელი ხარჯი ეპატიოთ.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

ბ-ნი ივანიუკოვი თავისს წერილში, რომელიც „რუსკ. მისლის" უკანასკნელს ნომერში დაბეჭდილი, სხვათა შორის, ერთის საყურადღებო საგნის შესახებაც ლაპარაკობს. ეს საგანია სოფლის მასწავლებელთა კრებების დაარსება. იგი ამბობს:

„ხალხის სწავლა-განათლების მსურველნი და ერობანი უნდა შეამდგომლობდნენ, რომ ადმინისტრაცია ხელს არ უშლიდეს სოფლის მასწავლებელთა კრებებს. ერთ-ერთს წერილში უკვე გვქონდა ლაპარაკი ამ საგნის შესახებ. სოფლის მასწავლებელთა კრებები არამც თუ არ იყო მთავრობისგან აღკრძალული, არამედ მთავრობა პირიქით ხელს უწყობდა და აქეზებდა, და თუმცა მთავრობის მხრივ არავითარი ბრძანება არ გამოსულა მასწავლებელთა კრებების აღკრძალვის შესახებ, მაგრამ 1884 წელს ადმინისტრაციამ აღკრძალა მიუხედავად იმისა, რომ დიადი მნიშვნელობა ამ კრებებისა მეტად მეტად თვალსაჩინოა. სოფლის მასწავლებელთა კრებები საშუალებას აძლევენ ერობას, ქალაქის დაწესებულებათ და მთავრობას დაახლოვებით გაცნონ ნაკლი და უმთავრესი საჭიროებანი სასკოლო საქმისა."

# უცხოეთი

—

**გერმანია.** გაზეთები იუწყებიან, რომ სამეფო დრამატიულს თეატრში წარმოდგენის დროს წაკითხულ იქმნება იმპერატორის მიერ შეთხზული ლექსი ბისმარკის პატივსაცემლად. პარლამენტის პირველმა ვიცეპრეზიდენტმა, თავისუფალ-მოაზრე დეპუტატმა შმიდტმა არ მიიღო მოპატიჟება სადილზედ, რომელიც უნდა გამართოს იმპერატორმა ყოფილის კანცლერის პატივის საცემლად.

—

**საფრანგეთი.** სენატორს მარსელ ბარტს ჰსურს პროექტი შეიტანოს პარლამენტში და ითხოვოს, რომ გაუქმებულ იქნას ის კანონი, რომელიც დადგენილია 29 ივლისს 1881 წ. ბეჭდვის შესახებ. პროექტის დედა-აზრია „იმგვარი კანონი იქმნეს შემოღებული, რომლის ძალითაც პრეზიდენტის პიროვნება, მისი სახელი და ძალა უფრო პატივ-სადებელი და ხელ-შეუხებელ იქმნას". Journal des Debats-ის სიტყვით ბარტის პროექტი დიდს წინააღმდეგობას გამოიწვევს; ჯერ ერთი, რომ ამ ჟამად სრულიადაც არ არის საჭირო ამგვარის კანონის შემოღება, რადგანაც პრეზიდენტის პიროვნებას ჟურნალ-გაზეთობა არ ეხება, ხოლო თუ ვინმე შეურაცხ-ჰყოფს მისს პიროვნებას, მაშინ არსებული კანონი ჯეროვანად დასჯის დამნაშავეს და მეორეც, რაც უნდა სასტიკი კანონი შემოიღონ, ძნელად თუ სასტიკადვე აღსრულდება.

—

**ჩინეთი.** ჯერ-ჯერობით არაფერი გადაწყვეტილი არა ითქმის-რა შესახებ იმ ინსტრუქციისა, რომელიც პეკინის მთავრობამ ლი-ხუნგ-ჩანგს მისცა. არც არა გადაწყვეტილი ითქმის რამე, თუ რა სწადიან იაპონიას, ან იმ ევროპის სახელმწიფოებს, რომელთა ინტერესი ასე თუ ისე შეერთებულია იაპონიისა და ჩინეთის საქმეებთან. იმისდა მიხედვით, რომ ამ უკანასკნელს დროს იაპონია აპირებს მიიტანოს იერიში „ფარმოზას" და სათევზო კუნძულებზედ, ჰგონებენ, რომ სასტიკი წინააღმდეგობა მოუხდებოდა მას რუსეთთან, ჩინეთთან და საფრანგეთთან ხიროსიმასა დ სიმონოსეკში. მაგრამ ეს საეჭვოა, თუმცა იაპონიამ შეაყენა იერიშით მისვლა მუკდენზედ. ე. ი. შუაგულ მანჯურიაში.

საზოგადოდ, ბურუსით არის მოცული ჩინეთისა და იაპონიის საქმე და მოუთმენლად ელიან, როდის გაიფანტება ეს ბურუსი და რა მონაწილეობას მიიღებს ევროპის სახელმწიფოთა მთავრობა, რომელთა ინტერესი ასე მჭიდროდ არის დაკავშირებული იაპონიისა და ჩინეთის საქმეებთან.

—

თუ როგორი გასაოცარი გარჩევაა სხვა-და-სხვა საბუთის ქაღალდის მოსაპოვებლად ხარჯის გადახდაში რუსეთსა და ევროპის შორის, შემდეგის მაგალითიდგან მტკიცდება. ერთის საქმის ქაღალდის დამტკიცებას ნოტარიუსის წესით ოდესაში 3000 მანეთი უნდება ამ გვარივე ქაღალდის დამჯდარა, პეტერბურგში 2 მ. 50 იხარჯება.

—

**ინგლისი.** ინგლისური ჟურნალ-გაზეთობა მეტად აღელვებულია აკასსადგან მიღებულის დეპეშის გამო. როგორც ადგილობრივ მოხსენებიდგანა სჩანს, მდ. ჰიგერის შუა ადგილიდგან საფრანგეთის ორი ძლიერი ექსპედიცია შესულა ბრიტანიის ტერრიტორიაში. ერთი ამათგანი კაპიტანის დეკერის უფროსობით მდ. ჰიგერის მარჯვენა ნაპირზედ დაბანაკებულა ბაგიბოში, ე. ი. იმ ადგილში, რომელიც 1885 წლიდგან „Niger-Company-ს ეკუთვნის, ხოლო მეორე ექსპედიციამ, რომელსაც თვით დაგომეის გუბერნატორი ბალლო ჰსარდლობდა, ბიესსა დაიჭირა, რო-

---

ან!.. ქართველობა ხომ ისეთის პატივით მეკიდება, რომ ლამის ხელით მატარონ; სადაც-კი დიდებულ კაცის შესახებ ჩამოაგდებენ ბაასს, ჩემი სახელიც უეჭველად იქ უნდა წასჩხირონ!.. „აი, მაგალითად ჩვენი №..." და სხვა... მხოლოდ ერთი ეს არის, რომ მოსვენება არა მაქვს... წამ-და-უწუმ კაცი კაცზედ მოდის... წუთს არ მაძლევენ—თავისუფლად დავრჩე, რომ ჩემის საყვარელ არსებათა ხილვით დავსტკბე... ცოლით, შვილით გავიხარო!.. მაგრამ რას იზავ? „აბანოში ნუ შეხვალ, ნუ ებანები, გამოხვალ და ნუ თირთიო..." დიდს კაცს დიდი მოვალეობაც აწევს!.. მერე რა ხალხთან დავდივარ, სულ ტუზებთან და მოსცურავს და მოსცურავს ჩემკენ აუარებელი ოქრო-ვერცხლი!.. სიმდიდრე!.. დიდება... მერე რა ახალგაზდა ვარ და!..

ბოლოს იქამდის გაითქვა ჩემი სახელი, რომ პეტერბურგიდგან წერილი მომდის—პროფესსორად მიწვევენ უნივერსიტეტში... ის-კი აღარ მახსოვს, რა პასუხი მივეცი ამ წერილის შესახებ, რადგანაც აქ სიზმარი უეცრად შესწყდა, რამდენსამე ხანს გამოურკვეველს ბურანში ვარ, მგონი მეორე მხარეზედ გადავბრუნდი... როცა ბურანი გაიფანტა—ზმანება კვლავ გაგრძელდა, მაგრამ ეხლა ჩემი ცხოვრება წინ სულ სხვა სურათად გადამეშალა:

მე იგივე სტუდენტი გახლავართ, იმავე ტანისამოსით, იმავე აზგით, რომელშიაც იგივე „დიპლომი" მიძევს. მხოლოდ, საკვირველია, ჩემს გარშემო იმ დიდებისა, რომლის შესახებაც წელან ვოცნებობდი, სრულიად არა სჩანს-რა... არც ცოლი გამაჩნია, არც შვილი... ვდგევარ მარტოდ-მარტო ერთის სოფლის ქუჩაზედ და გულ-მოწყლული გავყურებ შიშის აღმძვრელს სურათს, რომელიც ჩემს თვალებს ეხატება საშინელი პაპანაქება, ისეთი, რომ თვით ქაჩალსაც-კი მოუტუსავს თავზედ ბალანს... მზე მიემზგავსება უშველებელს ბორბალს ცეცხლივით გავარვარებულს და ქვეყანას იმ სახით გადმოჰყურებს, თითქოს ცეცხლის წაკიდებას ემუქრებაო... ნიავი არსაიდგან იძვრის... ჰაერი მთლად გაჟღენთილია რაღაცნაირის მყრალის სუნით... ხანგრძლივს გვალვას ის არემარე მთლად ამოუბუქავს, თითქოს მცენარეულობას ცეცხლი გასჩენოდეს და ამ სტიქიონს შეეჩერებინოს მისი ბუნებითი ზრდა... ალაგ-ალაგ მიწას სამარესავით დაუღრენია პირი და საშინელის გვალვისაგან ხახა ამომშრალი—აუარებელს ხარკს თხოულობს, რომ მშიერ-მწყურვალი მუცელი ადამიანის სისხლ-ხორცით მაინც მოითქვას... ყოველს ნაბიჯზედ—კაცის თვალს უსიამოვნოდ ეჩხირება ყვითელ ხავს-მოკიდებული გუბე-ჭაობები—ბუდე საშინელის ციებ-ცხელებისა და სხვა ავადმყოფობისა. ქუჩაში ცხოველის ჭაჭანება არ არის, თითქოს სოფელი გახიზნული იყოს... მხოლოდ ზოგიერთს ეზოში ხის ქვეშ დაინახავ ციებისაგან მობაბანე ადამიანს, რომელსაც ეს საშინელი სენი სასტიკად აწამებს... მთელი ხალხი ამ სენით არის შეპყრობილი, მგონი დანარჩენი ცხოველიც, თუ ფრინველიც ამავე ჭირს შეუძვრენია თავიანთს სოროებში... დიდიან-პატარიანად ყველა ლოგინად არის დაცემული, ასე რომ მომვლელიც-კი არ გააჩნიათ...

აი, ერთის თუთის ჩრდილის ქვეშ მუცელ შემობერილი დედა-კაცი წევს... სახე მიწას მიუგავს... ტუჩები სიცხისაგან დაჰხეთქია და სისხლი გადმოსდის. თვალები ოდნად-ღა აქვს ღია და მალე სრულიად დაეხურება, რადგანაც მათს პატრონს წამები დასთვლია... რაც ხანი გადის, ცხვირი თან-და-თან უმწვეტდება, სუნთქვა ეკვრის და საშინლად ჰგმინავს... ოფლ-მოსხმული მუცელი თან-და-თან ებერება... გვერდით ამ დედა-კაცს, ესე ხუთისა ანუ ექვსის წლის ქალიშვილი უზის... ისიც დედასავით დასიებულია, მუცელი და თავი, წლოვანობასა და ტანთან შედარებით—მეტად დაჰმსხვილებია, ამასთანავე თვალებში სიყვითლე ეტყობა... აშკარაა—ისიც მშობლის ხვედრის ციებ-ცხელების მსხვერპლია... საბრალო დედიშობილა... რაღაც ნაფლეთები—ძლივს ღა უფარავენ ტანის ზოგიერთს ნაწილებს... პაწია განცვიფრებით მიუპყრია თვალები სულთ-მობრძავ დედისათვის... უკვირს—„ჩემი დედილოს"ს სუნთქვა ასე რად უძნელდება, ან შუბლი ოფლით რად ენამებაო... მომაკვდავი სიყვარულით უცქერის თავისს საყვარელს არსებას, უნდა ღრმად შთაიბეჭდოს მისი სახე, რომ იმ სოფელში მუდამ თვალ-წინ ჰყავდეს თავისი პაწია „გოგონა". ამ დროს ბავშმა ანაზდეულად ჩაჰხედა დედას თვალებში და თითქოს იქიდან რაღაც ამოიკითხაო—საშინლად შეჰკივლა „დედა?" და მივარდა მშობელს. ამ კივილის პასუხად მომაკვდავი შეტორტმანდა, თითქოს წამოწევას ჰლამობსო, ერთი საშინელი ამოიკვნესა და სამუდამოდ გამოეთხოვა ამ სოფელს. ის კვნესა არ იყო ხორციელის ტკივილის შედეგი, არა ის იყო საშინელი ზნეობრივი ტანჯვა ადამიანისა, რომელიც სამუდამოდ ჰშორდება ობლად დატოვებულს საყვარელს არსებას!..

თავ-ზარ დაცემულსავით ვიდექი... ჩემის თავისათვის ანგარიში ვერ მიმეცა იმისა, რაც ჩემს წინაშე მოხდა. ამ მდგომარეობიდგან გამომი-ყვანა უცნაურმა ხმამ. მივიხედე და შავებში შემოსილი ღვდელი დავინახე; იგი აჩქარებულის ნაბიჯით ჩემსკენ მოიმართებოდა და რაღაცას ღუღუნებდა; უკან მოსდევდა დიაკვანი საცეცხლურით ხელში.., ორს-სამ კაცს-კი მათ შემდეგ უბრალო ფიცრის კუბო მოჰქონდათ... ეს-კი ველარ ავიტანე და გაქცევას ვაპირებდი... და სწორედ ამ დროს იდუმალმა ხმამ წამჩურჩულა: „სადღა მიხვალ? აი ნამდვილი დიდების ასპარეზი—თუ შეგიძლიან იშრომე და თავი დამსახურების დაგვარად დაიგვირგვინეო... იქ უშენოდაც ბევრნი არიან და ერთმანეთს ეცილებიანო, მათაც არა ჰყოფნით ის მოედანი!.. აქ-კი მეტოქე არავინ გეყოლებაო!... ამ სიტყვებმა საშინლად იმოქმედეს ჩემზედ, მთლად კანკალი დავიწყე. „როგორ, მე ამ საშინელს მყრალს სოფელში, ცოცხალ-მკვდრებთა შორის? მერე ის მომავალი, რომელსაც წელან ვითვალისწინებდი? ის დიდება? არა, არა! არ შემიძლიან აქ დარჩენა!.. და გასაქცევად ნაბიჯი გადავდგი... ამ დროს კიდეც გამომეღვიძა, მთლად ოფლში ვიყავი გაქნილი. „ბიჭო რა იყო? დამეკითხა ჩემი ამხანაგი—„საშინლად ჰგმინავდი და რაღაცას ჰბოდავდიო"—„არაფერი უცნაური სიზმარი ვნახე—მეთქი. დიაღ, უცნაური სიზმარი ვნახე და თუ შეიძლებოდეს, ამიხსენით, რის მომასწავებელია იგი?

ილ. ელეფთერიძე.

მლის სულთანმაც ჯერ ისევ 1890 წ. მიიღო ინგლისის პროტექტორობა.

ინგლისის ჟურნალ-გაზეთებს იმედი აქვთ საფრანგეთი ორივე ექსპედიციას უკან გაიწვევს, რადგანაც ძნელია რომ ასეთმა ამბავმა ბრიტანიასა და საფრანგეთს შორის შეტაკება არ გამოიწვიოს.

### უცხოეთის წვრილი ამბები.

გამოჩენილი არტისტი ქალი დეკლოზა ამ დღეებში პარისის სასამართლოში იყო მიწვეული მოწმედ. თავმჯდომარე, როგორც წესი მოითხოვს, დაეკითხა მას, თუ რა ხელობისაა, რა ჰქვიან და რამდენი წლისაა. უკანასკნელი კითხვა როგორღაც არ ესიამოვნა არტისტს ქალს. თავმჯდომარემ კვლავ განუმეორა: „თქვენი წლოვანება ქალბატონო“?

— ჩემი წლოვანება, ბ-ნო თავმჯდომარევ? წლოვანებას მაგრე ადვილად როდი აცხადებს ქალი, მეტადრე თუ იგი სცენაზედაც თამაშობს“ და ბოლოს წასჩურჩულა: „მე... ოც-და-შვიდის წლისა ვარ“.

—

ფრიად საკვირველია ფოსტის მოქმედება ინგლისში. როგორც აღნიშნავს სტატისტიკა, ინგლისიდგან ირლანდიაში იყო გაგზავნილი 2.189,500,000 წერილი, პაკეტები წიგნებით, გაზეთები. მიიღება სამოც-და-თორმეტი ამანათი თითოეულ ირლანდიისა და დიდ ბრიტანიის მცხოვრებზედ. სულ შეადგენს— 2,4% მეტს წარსულის წლის კვალობაზედ.

### თეატრის მატიანე.

სამშაბათს, 21 მარტს, ახალ-სენაკში ქართული წარმოდგენა იყო გამართული ქართველ საზოგადოების საყვარელის მსახიობ ქალის გაბუნია-ცაგარლის მონაწილეობით. წარმოდგენილი იქმნა სამ-მოქმედებიანი კომედია „ხანუმა“ ა. ცაგარლისა. ამ წარმოდგენაში მონაწილეობას იღებდნენ ქ-ქნი: გაბუნია-ცაგარლისა, ბ. გრიგოლია, ე. ყვიცარიძისა, ეკ. ჟურული და ა. ჯაფარიძისა. ბ-ბნი: ს. ყიფიანი, ს. მგალობლიშვილი, ვ. ელიავა, ი. გოგოლაშვილი და ნ. გაბუნია. რაც შეეხება მოთამაშეებს, უნდა მოგახსენოთ, რომ ყველას თავიანთი როლები კარგად ჰქონდათ შესწავლილი. მათ შორის საზოგადოების განსაკუთრებითს ყურადღებას იზიდავდა, როგორც მოსალოდნელიც იყო, ქ-ნი გაბუნია-ცაგარლისა. ამ პატივცემულს მსახიობს ქალს, როგორც მოგეხსენებათ, კარგი სახელი აქვს დამსახურებული. სცენაზედ არა ერთხელ იქმნა გამოწვეული და ვაშა-ვაშას ძახილით დაჯილდოებული. აქაური საზოგადოება პირველად ჰხედავდა საყვარელ მსახიობ ქალის თამაშს და, რა თქმა უნდა, იმისს სცენაზედ გამოსვლას რა მნიშვნელობაც ექნებოდა. „ხანუმას“ როლს თვითონვე თამაშობდა, რომელმაც ნამდვილად დაუხატა ყველას მაჭანკლობა. დანარჩენი მოთამაშე ქალებიც თავიანთს როლებში კარგები იყვნენ და ღირსეულად ითამაშეს. კაცთა შესახებაც ესევე გვეთქმის, რაც ქალებზედ ვსთქვით.

საზოგადოება ამ წარმოდგენას საკმაოდ დაესწრო და ჩინებულად ჩაიარა. ამ წარმოდგენის შემოსავალი, როგორც ნამდვილად შევიტყვეთ, მათ ნება-ყოფლობით საქველ-მოქმედო დაწესებულებას მოხმარდება, ხარჯს გარდა.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საჭიროა ბილეთების ფასები ისე იყოს დანაწილებული, როგორც პროვინციებს შეჰფერის და არა ისე, როგორც დიდს ქალქებშია, მით უფრო, რომ რადგან პროვინციებში წარმოდგენები ხშირი არ არის, სასურველია, სანამ ხალხი წარმოდგენის სიყვარულს შეითვისებდეს, მანამდის ბილეთები ცოტა დაკლებულ ფასად იყიდებოდეს. ამითი ხალხი უფრო მალე მიეჩვევა წარმოდგენას და მოთავეც მეტს ხეირსა ნახავს...

ტრიფონ კალანდარიშვილი.

### ჩემის პიესის რეცენზენტს—„თეატრის მოყვარულს“.

წავიკითხეთ თქვენ მიერ დაწერილი რეცენზია გაზეთ „ივერიის“ მე № 62-ში, მაგრამ უნდა გამოგიტყდეთ, რომ ამ რეცენზიით ჩვენ ვერაფერი ვისარგებლეთ, ვერა ვისწავლეთ-რა, რადგან ნაკლებულობა და უვარგისობა პიესისა თითო სიტყვით არის მოხსენებული, ახსნა და დამტკიცება ნაკლებულებათა და შეცდომებისა დაგვიწყებიათ. დიდად სასიამოვნო იქნებოდა, რომ პიესის ნაკლი და უვარგისობა დაწვრილებით აგეხსნათ. ჩვენ ამ ახსნით პიესების წერას შევისწავლიდით და მომავალში ვისარგებლებდით. მხოლოდ ნება მიბოძეთ გკითხოთ, ბატონო რეცენზენტო, რომელი პიესებიდგანა მაქვს ამოგლეჯილი და შეკონკილი ჩემი პიესა მტარვალი? მიმითითეთ, მანიშნეთ, თორემ ცილის წამებათ ჩამოგერთმევათ. თქვენ ჩემს თავმოყვარეობას და სინიდისსაც ეხებით მაგ ცილის წამებით. მე ჩემი კითხვის პასუხს დაუყოვნებლივ მოველი. იმედი მაქვს, არ დაიზარებთ და პასუხს მაკადრებთ, ლიტერატურულ ქურდობას დამიმტკიცებთ.

ი. ლაზარეშვილი.

### წერილი რედაქციის მიმართ.

—

ჩვენს სოფელს მაღაროში სცხოვრებს ოცი კომლი აზნაური და სამი კომლიც სასულიერო წოდებისაა, რომელნიც თავისუფლად სარგებლობენ ჩვენის მინდვრებით, სახნავის მიწებითა და საბალახოთი. ყოველი სახელმწიფო, თუ სასოფლო, ანუ სხვა ხარჯები და ტვირთი გარდასახადი გაწევს მხოლოდ ჩვენ, გლეხებს და ისინი-კი ამ ხარჯებში არავითარს მონაწილეობას არ იღებენ და არხეინად იკვებებიან და სარგებლობენ; გლეხებს-კი ტყავი დაგვძვრა. ამიტომ ჩვენ გვსურს, რომ ესოდენი უსამართლობა ერთხელ და სამუდამოდ ჩასმინდეს მთავრობას და ერთი რამ წამალი დაგვედოს; ანუ მონაწილეობა მიიღონ მათაც ყოველივე სასოფლო ხარჯებში, ესე იგი რითაც ისინი სარგებლობენ, ანუ აღეკრძალოთ ჩვენის ნაამაგარით სარგებლობა. ამასთანავე დავსძენთ, რომ ეს ოც-და-სამი კომლი აზნაური და სასულიერო წოდების ხალხი არც გზის კეთებაში გვეხმარება, არც წყლის გაყვანაში და არც მიწის ამზომის ხარჯში *).

წევრნი: შაქრო ჯანდიერის ძე მჭედლიშვილი, ადამი პაპის ძე ვარსიმაშვილი.

სოფლის საზოგადოების მაღაროს მამასახლისი სანდრო ქიტელას ძე ჯონიკაშვილი.

(ორიგინალს მამასახლისის ბეჭედი აზის).

16 მარტს 1895-ს წელს ქ. სიღნაღს.

—

რადგან გაზეთ „ივერიაში“ მეორედ დაიბეჭდა შენიშვნა შესახებ იმისა, რომ სასწავლებლის მეკარე უზრდელად ეპყრობა ეკკლესიაში მოსიარულეთ და აგრეთვე უცხადებს მათ, ვითომ ზედამხედველს მოუხდინოს განკარგულება ეკკლესიაში არ შემოუშვას ქართულად ჩაცმულნი,—ამიტომ სასწავლებლის მთავრობას პატივი აქვს გამოაცხადოს საყოველთაო საცნობლად, რომ მას, მიუხედავად მეკარის მტკიცე უარ-ყოფისა, მისდამი მიმართულ ბრალდებისა, მიეცა შესაფერი ზომა მოსასპობლად ამგვარ შემთხვევათა მომავალში. რაიც შეეხება კნიაჟ. ნ. ვაჩნაძის საუბარს სასწავლებლის ზედამხედველთან ეკკლესიაში, გაუწყებთ, რომ სასწავლებლის ზედამხედველმა, რომელიც კნიაჟნას კითხვებზედ პასუხს აძლევდა, სრულიად არა იცოდარა იმის შესახებ, რაც მომხდარიყო ეკკლესიის კარებში და თქვა-რა, რომ ეკკლესიაში შემოიშვებიან უფრო სუფთანი, საზოგადოდ სახეში ჰყვანდა მოსიარულენი, ჩაცმულნი ფაქიზად (ПРИЛИЧНО), განურჩევლად მათის წოდებისა, მდგომარეობისა და გვარ-ტომისა.

სასწავლებლის ზედამხედველი პაშკევიჩი.

23 მარტს, 1895 წ.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

24 მარტი.

**პეტერბურგი**, 24 მარტი. გამოცხადებულია ხელმწიფის ბრძანება, რომლის ძალით დიდი მთავრინა ქსენია ალექსანდრეს ასული დაინიშნა ქსენიას ინსტიტუტის მზრუნველად.

**პარიზი**, 23 მარტი. ზღვის მინისტრმა განაცხადა სენატში, რომ მალე ჩაუშვებენ ზღვაში ორ ჯავშნიან გემს. 1896 წელს კიდევ 6 ჯავშნიან გემს მიიმატებენ. სამხედრო გემებს კიდევ გაამრავლებენ, ასე რომ საფრანგეთის ზღვის ძალას თამამად შეეძლება შებრძოლება იტალიის უზარმაზარ ჯავშნიან გემებთან. საფრანგეთი არამც-ა და არამც ვერ შეამცირებს თავისს ზღვის ძლიერებას. პირიქით როგორც-კი გაიხსნება ჩრდილოეთის არხი, საჭირო იქნება ჩრდილოეთის ესკადრა გააძლიეროს, ასე რომ იგი ედრებოდეს ხმელთა შუა ზღვის ესკადრას. მინისტრმა განაცხადა, რომ საფრანგეთის ფლოტი უდრის მეზობელ სახელმწიფოთა ფლოტებსაო.

**ქრისტიანია**, 23 მარტი. ნამინისტრალმა ესტრუპ'ა იკითხა პარლამენტში სამხედრო სამინისტროს საგანგებო ხარჯის რაოდენობა და გამოსთქვა ის აზრი, რომ ქვეყნის მოსაგერებლად უმთავრესი ყურადღება შინაგან მშვიდობიანობის დაცვას უნდა მიექცესო, რადგანაც ახლანდელ მდგომარეობას რომ ვხედავთ, არავინ იცის, როდის ატყდება ომიო.

**ლონდონი**, 23 მარტი. ოთხი ბრიგადა ინგლის-ინდოთა ექსპედიციისა დაესხა თავს ჩიტრალს, მალანდრის ხეობაში ადგილობრივ მცხოვრებთა ლაშქარს, რომელშიც 12000 კაცი იყო. შემდეგ 5-ის საათის ბრძოლისა მკვიდრნი დამარცხდნენ სრულიად. სამი ინგლისის აფიცერი მძიმედ დაჭრილია; სამი ჯარის-კაცი მოკლულია და 50 დაჭრილია. დამარცხებულმა ლაშქარმა დასტოვა ბრძოლის ველზედ 500 მოკლული კაცი.

**ვაშინგტონი**, 23 მარტი. ოფიციალური ტელეგრამმა იუწყება, რომ მშვიდობიანობის შესახებ მოლაპარაკება იაპონიასა და ჩინეთ შორის ისევ დაიწყოვო.

---

*) ვბეჭდავთ ამ წერილს იმისთვის-კი არა, რომ დარწმუნებულნი ვიყოთ, დაბეჭდვით საქმე გაკეთდეს... სოფლის საზოგადოების დრტვინვა სრულიად სამართლიანია: ვინც სარგებლობს რაიმეთი, უთუოდ ხარჯიც უნდა გასწიოს. თავად-აზნაურებმა და სასულიერო წოდებამ, როგორც უფრო შეძლებულმა, გლეხობაზედ, რასაკვირველია უფრო მეტიც უნდა გადაიხადოს. ამას მოითხოვს სინდისიც და სამართლეც, მაგრამ მრავალ მიზეზების გამო დღემდისაც არავინ აქცევს ყურადღებას ამგვარს უსამართლოებას. რაც შეეხება საბალახოებს—უნდა ვსქთვათ, რომ თუ ეს საბალახოები გლეხთ იჯარით აქვთ აღებული, მათ სრული უფლება აქვთ მხოლოდ იმათ მისცენ ნება სარგებლობისა, ვინც იჯარის ფულის გარდახდაში მონაწილეობას იღებს.

რედ.


# განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათამდე, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

ფ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

ექიმი მ. ტურზოვიჩი. ქალი ა. 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა.

ი. ფ. პრიცკსვეიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ა. ბ. კარაპეტიანცი, 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ა. გ. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7½ საათამდის.

ა. გ. გურკო. გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგების და რეცეპტის დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

(857—1468)

უმაღლესად დამტკიცებული 20 მარტს 1881 წ.

## დამზღვევი საზოგადოება „როსსია“

ს.-პეტერბურგი, Большая Морская, 37.

მთლად განაღდებული დასაფუძნებელი თანხა აქვს 20.500,000 მან.

საზოგადოების სარგებლიანი ქაღალდები სახელმწიფო ბანკში ინახება.

საზოგადოების მოქმედება:

**დაზღვევა სიცოცხლისა**

მცირე პრემიით (შესატანი ფული) და მეტად სასარგებლო პირობით, სახელდობრ:

1. დაზღვევა სიკვდილამდე (სანუგეშოდ ოჯახისა და სხვა);
2. დაზღვევა ვადიანი (სიბერის დროს გამოსატანი თანხა, სამზითვო და სხ.);
3. დაზღვევა შემოსავლისა (პენსია მოხუცთათვის, ქვრივთათვის, სტიპენდია ყრმათათვის და სხვ.)

მოარულით სიკვდილი ვერ დააბრკოლებს დაზღვეულის თანხის მიცემას;

**დაზღვევა უბედურ შემთხვევისაგან**

როგორც კერძო კაცისა, ისე საერთო, საამხანაგო, ქარხნებში მოსამსახურეთა და მომუშავეთა;

**დაზღვევა ცეცხლისაგან**

ყოველ გვარ უძრავისა და მოძრავის ქონებისა;

**დაზღვევა ტრანსპორტებისა,**

ზღვით, მდინარით, თუ ხმელეთით გაგზავნილ საქონლისა.

განცხადება დაზღვევისათვის და ყოველ გვარი ცნობები ეგზავნება უმთავრესს მმართველობას, (ბოლშაია მორსკაია, საკუთ. სახლი, № 37), კავკასიის ოლქის სამმართველოში, ტფილისს (სოლოლაკი, სერგიევის ქუჩა, სახლი № 3) და საზოგადოების აგენტებს იმპერიის ყველა ქალაქებში.

უბედურ შემთხვევისაგან დამზღვევი ბილეთები მგზავრებს (როგორც რკინის გზაზედ, ისე გემებით მიმავალთ) მიეცემათ რკინის გზის სადგურებზე: ტფილისში, ბაქოს და ბათუმს, და გემების ნავთ-სადგურებზე.

50—6—15